



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150  
0112 თბილისი, საქართველო  
+995 32 2439503 / +995 32 2439510  
info@nea.gov.ge  
nea.gov.ge

18 ოქტომბერი 2024



N 21/10804

შპს „ევრობეტონს“

ქ. კასპი, დავით აღმაშენებლის ქ., N 138

[esec.ecometer@gmail.com](mailto:esec.ecometer@gmail.com)

### ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი N8379 განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში შპს „ევრობეტონის“ თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი და გაცნობებთ შემდეგს:

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, საპროექტი არეალის მთლიანი 137 612 კვ.მ ფართობიდან (Shp ფაილები), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 134 879 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, კასპის სატყეო უბნის ახალქალაქის სატყეოს, კვარტალი N32, ლიტერი N5-სა და მიმდებარე ყოფილ საკოლმეურნეო ტყეს. სახელმწიფო ტყეში მდებარე 134 879 კვ.მ ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე ს/კ 67.08.34.052 (ფართობი: 606 კვმ). გზმ-ის ანგარიშში თანდართულ მასალებში წარმოდგენილ ტყეკაფის აღრიცხვის მასალებში ჯამური ფართობი შეადგენს - 50,5 ჰა-ს (658,405 მ3 ხე-ტყით), ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში შემუშავებულია 13,4 ჰა ფართობისთვის. ამასთან გასათვალისწინებელია „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის 221 დადგენილების 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და შესწორებას;
2. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ კვეთს კავთისხევის ქვიშა-ხრემის საბადოს (მიწის ნაკვეთის საბადოს ტერიტორიასთან თანაკვეთის ფართობზე (22 470 კვ.მ) ქვიშა-ხრემის მარაგი შეადგენს 67 410 მ3-ს). ასევე, ანგარიშში მოცემული მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით (შპს „ევრობეტონის“ წერილის პასუხად), საპროექტო ტერიტორიის და კავთისხევის ქვიშა-ხრემის საბადოს თანაკვეთის ტერიტორიაზე არსებული ქვიშა-ხრემის მარაგი შეადგენს: ტბორების მოსაწყობი ტერიტორია (ფართობი -9070 მ2) -27210 მ3-ს, მილსადენი (ფართობი -3535 მ2) - 10605 მ3-ს. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წერილის თანახმად, საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტებით და სააგენტოში არსებული ინფორმაციით, კვეთს კავთისხევის ქვიშა-ხრემის საბადოს კონტურს, სადაც ტერიტორიის საბადოსთან თანაკვეთის ფართობზე (7840კვ.მ) ქვიშა-ხრემის მარაგი შეადგენს 23520 მ3-ს. აღნიშნული ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, გზმ-ის

ანგარიშის მიხედვით, ტბორების მოწყობის ეტაპზე ამოღებული გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება თითოეული ტბორის ირგვლივ შემოზვინვის მოსაწყობად (სიმაღლე დაახლოებით 1.5 მეტრი, სიგანე დაახლოებით 1.5 მეტრი). გაცნობებთ, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წიაღი სარგებლობაში გაიცემა მხოლოდ სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე, გარდა ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული შემთხვევებისა. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის საბადოსთან კვეთის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;

3. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია გრუნტის გატანის საკითხთან დაკავშირებით (გვ. 18), რომლის მიხედვითაც დარჩენილი გრუნტის (დაახლოებით 54 120 მ<sup>3</sup>-ის) გატანა, ტბორების მოწყობის შესაბამისად (თანმიმდევრულად), მოხდება კერძო საკუთრებაში (კობა მაჩხიძის) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ს/კ: 67.01.54.339; 67.01.54.338, რომლებიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული. გზმ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულება (დანართი 4), რომლის მიხედვითაც შპს „ევრობეტონი“ ვალდებულია მოიჯარეს ტერიტორია დაუბრუნოს ხელშეკრულების გასვლის შემდეგ პირვანდელ მდგომარეობაში. წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გრუნტის (მოცულობების დაზუსტებით) შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ, მათ შორის „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შესახებ;
4. დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს დოკუმენტში მოცემული მდ. მტკვრის მინიმალური ხარჯი, ასევე განმარტებას საჭიროებს ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების დადგენისა და ჩამონადენის მოდულის საფუძველზე წლიური ჩამონადენის ნორმის განსაზღვრის საკითხები. ამასთან, გზმ-ის ანგარიშში მოცემული ღია არხები, რომლებიც, მაღალი ფილტრაციული თვისებების გრუნტის (ქვიშის შემავსებლიანი კენჭნარის) პირობებში, გავლენას იქონიებენ გრუნტის წყლის დონეზე, ხოლო მათ გაყოლებაზე შეიძლება ზედაპირული გრუნტების კონსისტენციის ცვლილების, ასევე წყალგაჯერების და ჯდენის მიზეზი გახდნენ. გარდა ამისა, წყლის შესაკავებელი ნაგებობის ქვეშ საიზოლაციო ფენის განთავსება დაგეგმილი არ არის, შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთება (შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით), რამდენად უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქანები დაგუბებული წყლის შენარჩუნებას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
5. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტების და კონსულტანტების ჩამონათვალის შესახებ, ასევე, იმ მიმართულებების შესახებ, რომლის მომზადებაშიც მონაწილეობა მიიღო შესაბამისმა ექსპერტმა და კონსულტანტმა (მაგ. გეოლოგიური ნაწილი, ჰიდროლოგია და ა.შ.);
6. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე სამუშაოების ნაწილი შესრულებულია. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას, მათ შორის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით;

ამასთან, როგორც თქვენთვის ცნობილია, სკოპინგის დასკვნის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილ იქნა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ, რომელიც ეხებოდა საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მეტრში მდებარე კავთისხევის კირქვის კარიერს. ამასთან, კარიერსა და საპროექტო ტერიტორიას შორის არსებულ საავტომობილო გზას, რომლის გასწვრივ დაგეგმილია 1 მ სიგანის და დაახლოებით 1670 მ სიგრძის ღია არხის მოწყობა. გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ, წარმოდგენილ იქნა შენიშვნები/მოსაზრებები. შენიშვნებზე რეაგირებისა და შესაბამისი ინფორმაციის დოკუმენტაციაში ასახვის მიზნით, გიგზავნით სააგენტოში წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



<https://edocument.ge/mea/public/#/10804-21-2-202410181700>

